№ 137. ივნისის 26, სამშაბათი. 1866—1884 ივნისის 26, სამშაბათი. № 137.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ
„დროებაზე“
ნახევარის წლით
ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე
ფასი ხუთი მანათი
სოფლის მასწავლებელთათვის
ოთხი მანათი.

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ პოემის «მანდევილის» მთარგმნელს ბ-ნ თხორჟევსკის განუზრახავს „ვეფხვის-ტყაოსნის“ გადათარგმნაც რუსულ ენაზედ ლექსად. მას უკვე მიუნდვია ერთის პირისათვის ამ პოემის რუსულად გადაღება სიტყვითი სიტყვად. თხორჟევსკის განზრახვა აქვს „ვეფხვის-ტყაოსნის“ ნაწყვეტებიც სხვა გადათარგმნილ ლექსებთან ერთად ცალკე წიგნად დაბეჭდოს.

— ცხინვალიდგან გვატყობინებენ, რომ იქ გაჩენილა დიდი თაგვები, რომელთაც ხალხი ვირ-თაგვას ეძახის. თაგვები მომეტებულად სახლებსა და საქათმეებში მძვინვარებენ და სრულიად აჩანაგებენ შინაურს ფრინველებს. ხალხს ვერა გაუწყია-რა ამ მტერთან, რადგან საწამლავის ხმარებით შეიძლება ბავშვებს და სხვა ცხოველებს ზარალი მიეცეს. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ არა თუ მარტო ცხინვალში და მის ახლო-მახლო სოფლებში, არამედ ბევრგან სხვაგან ქართლში მოსვენება არ არის ამ ვირ-თაგვებისაგან.

— იქიდამვე გვწერენ, რომ დიდლიახვის ხეობაზე ყოველ წლივ ფუჭდება გზა და ამის გამო ოსების მისვლა-მოსვლა და სავაჭრო ურთიერთობა სრულიად შესწყდება ხოლმე ცხინვალთან. ყოველ-წლივ ამ გზის გასაკეთებლად გაჰყავთ ხალხი, ხარჯვენ ფულს და შრომას და გზას კი ვერა ეშველა-რა.

მივაქცევთ განსაკუთრებულს ყურადღებას ვისდამიცა ჯერ არს ამ გარემოებაზე.

— რამდენსამე განათლებულს ახალ-გაზდას განუზრახავს ამ ზაფხულში ოსეთისკენ გამგზავრება და შესწავლა ამ ფრიად განსაკუთრებულის ვითარებით გარემოცულის კავკასიის მხარისი.

დიდად სასარგებლო და ნაყოფიერი იქნება, რომ ერთხელვე და სამუდამოდ ჩვეულებად გადაჰქცეოდესთ ჩვენს შეგნებულს და განვითარებულს ახალ-გაზდობას მოგზაურობა ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხის შესასწავლელად და გამოსაკვლევად; ეს გარემოება მით უფრო მომეტებულს გონივრულს და ნაყოფიერს საქმეს შეადგენს, რომ ჩვენი ქვეყანა განსაცვიფრებლად მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანია, როგორც ბუნების მხრით, ისე ხალხის ჩვეულებათა და წესთა მხრითაც.

ოსეთის შესწავლა და მასთან ჩვენი დაახლოვება კიდევ იმითია უფრო მეტის-მეტად ყურადღების ღირსი, რომ ოსეთი და ოსეთის უკეთესი წარმომადგენელნი დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით ეკიდებიან ჩვენს ქვეყანას.

— გოგირდის ნაკლებულობისა გამო რუსეთში მმართებლობა ცდილობს აღმოაჩინოს სადმე ეს სასარგებლო მინერალი. უკვე ნაპოვნი მადნები გოგირდისა სოფ. სიუკეევოში (ყაზანის გუბერნია) და ჩერკატსკის მადანი კავკასიაში ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. რადგან ეს მადნები ბევრს გოგირდს შეიცავენ, ამისათვის როგორც „ს.-პეტერბურგის უწყებანი“ გვატყობინებენ, განზრახვა აქვთ გაგზავნონ იქ რამდენიმე ტეხნიკი და გეოლოგი; ხოლო როცა ამათგან დაწვრილებით შეკრიბებენ ცნობანი, იხმარებენ ყოველ-გვარ საშუალებას და გამართავენ იმ ადგილებში, ნობელის ქარხანის გარდა, სხვა ქარხნებსაც გოგირდის ბლომად წარმოებისათვის («მოსკოვის უწყებანი»).

— გაზ. „ყარსი“ დაწვრილებით მოუთხრობს თვის მკითხველებს ბაღდადის ვილაიეტში გაჩენილის გადამდების ავად-მყოფობის ამბავს. ეს ცნობანი მას მიუღია ბაღდადის კონსულისაგან: მთავარი ბინა საზარელს სენს დაუდვია ბედრის თემში, რომელშიაც 700 კომლია ანუ 4000 მცხოვრებელი ორთავე სქესისა. შიშით შეპყრობილნი მცხოვრებნი ბედრის სათემოსი, გაიქცა-გამოიქცნენ და ავადმყოფები ბედის ანაბარად დასტოვეს. სანიტარული კორდონი, რომელიც იწყება სპარსეთის სამზღვრებიდამ და მოდის დაბა ბაკლებამდე ბაღდადიდამ ცხრა საათის სავალზე, და რომელიც არტყია სენით მოდებულს მაზრას, ტყუილ-უბრალოდ გამოდგა ჩინოვნიკებისა და ჯარის კაცთა მექრთამობისა და მოსყიდვის გამო. სანიტარული საინტენდანტო მმართველობა იძულებული შეიქმნა კარანტინები დაემართა სხვა-და-სხვა ადგილს ბაქუბასა და ქალაქ კუტ-ელ-ამარაში მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზედ.

ბაღდადში ავად-მყოფობა გაჩნდა მარტის დამდეგს და აპრილის 12-მდე ბედრას სათემოში მოჰკლა 620 კაცი; შემდეგ აპრილის 25-დამ მაისის 18 მდე 157 კაცი კიდევ გახდა ავად და 163 კაცი მოკვდა. ვილაიეტის სხვა ადგილებში ავადმყოფობა უფრო ნაკლებ მძვინვარებს: ჯესამში 11—16 მაისამდე 10 კაცი მოკვდა, ზერბათში—1, მენდელში, 6—15 მაისამდე, —ათი კაცი. უნდა კი ვსთქვათ რომ ეს რიცხვები ნამდვილზედ მცირენი არიან, რადგან კონსულის აზრით, ამგვარ შემთხვევაში ადგილობრივი მთავრობა, ჩვეულებრივ, იმასა ცდილობს, რომ დაჰფაროს ნამდვილი ვითარება საქმისა.

იმ მოსაზრებით, რომ ეპიდემია ჩვენში არ შემოვიდეს, მათმა ბრწყინვალებამ კავკასიის მთავარ-მმართებელმა საჭიროდ სცნა დრომდი აღეკრძალოთ კავკასიის მცხოვრებლებს სალოცავად სიარული სპარსეთსა და ოსმალეთში წმ. ადგილთა თაყვანისსაცემლად, განსაკუთრებით აღეკრძა-

---

«დროების» ფელეტონი ივნისის 26-ს

## რა არ მოელის კაცს!

### თეოდორ იოკის მოთხრობა.

(ნათარგმნი)

იმათ ერთმანეთი ალტაცებით შეიყვარეს. იგი ერთი იმ ქალთაგანი იყო, რომელზედაც პოეტი ამბობს: «თვალები შავი აქვს გიშერივით, წარბები კალმით დახატული და ნაწნავები წელზე აყრიაო». იმას ლერწამივით ტანი ჰქონდა და კაცს ისეთ ნაირად მიიზიდავდა და შეაყვარებდა თავს, რომ იტყოდით—„ნამდვილი გულთ-მისანიაო!“ ქაციც ძალიან ლამაზი იყო.

ორივენი ღარიბნი იყვნენ. ქვეყანაზე არა ებადათ-რა. მაგრამ ქალმა მაინც სხვა საქმროებს ეს კაცი ამჯობინა, მეტადრე თვალში არ მოსდიოდა ერთი მდიდარი სოფლელი ყმაწვილი კაცი, რომელსაც საშინლად უყვარდა ეს ქალი, ამის გულისთვის თავის ხარჯით მემუსიკეებს დაიქირავებდა ხოლმე და მუდამ იარმუკიდამ შაქრისპურებს უზიდავდა. საქმრომაც ქალი ძალიან შეიყვარა და იმას არა ქალზედ არ გასცვლიდა, თუმცა ბევრი მათგანი ეტრფოდა და გიჟდებოდა მისთვის. საქმე იმითი გათავდა, რომ ამათ ჯვარი დაიწერეს.

დაქორწილდენ თუ არა, დაბინავდენ ერთ ნაქირავებ ქოხში და ისე ბედნიერნი იყვნენ, თითქოს მთელი ქვეყანა იმათი საკუთრება არისო.

მართლაც ბევრი რამა ჰქონდათ იმათ. პირველად იმათ ეკუთვნოდა ჰაერი, რომელსაც სუნთქავდენ, მერე ცა, რომელიც იმათ თავზედ იყო გადაშლილი ნათელს და კარგ დღეებში ლურჯ კამარად შეკრული და ღამე კი ვარკვლავებით მოჭედილი; ავდრის დროს ღრუბლებით მოცული და ჭექა-ქუხილით მოელვარე. განა ამათთვის არ იყო ყვავილთ სურნელება, ფრინველთ გალობა, რომელთ სტვენასაც გული ღრმადა გრძნობდა? სოფელს პატარა წყალი ჩამოუდიოდა, სოფლის ბოლოში წყარო გადმოკამკამებდა და განა პატარა წყალიც და თუნდ ის წყაროც ამათი არ იყო? მართლა რომ ძალიან ბედნიერნი იყვნენ!

მეტადრე მაშინ იგრძნეს ბედნიერება, როდესაც ქორწილის აყალმაყალს და დავიდარაბას მორჩნენ. ერთხელ ქმარმა მძიმედ ამოიოხრა. ცოლმა შენიშნა ესა და ისე ჩაეკონა, თითქო სული სულთან უნდა ჩაერთოვო. ბედნიერება ბრწყინავდა მის სახეზედ, კრთოდა მის თვალებში. ქვეყანაზედ იმას აღარა ენატრებოდარა. ახალ-გაზდა ვერვერ-ნაკურთხ ქმრის მკერდზედ ისე კარგად გრძნობდა თავს, რომ აღარ უნდოდა მოშორებიყო. მალერსებოდა და ხშირ-ხშირად იმეორებდა: «ჩემი ხარ არხიპოს... ჩემი ხარ... ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო!...

ორივენი ისე გატაცებულნი იყვნენ ბედნიერებით, რომ არა გრძნობდენ თავიანთ შევიწროებულ მდგომარეობას. ოთახი ბნელი იყო, სინათლე მხოლოდ ერთი პატარა ფანჯრიდამ შედიოდა და საშინლად ვიწროდ იდგნენ; პატარა ოთახი სახლის სხვა-და-სხვა ავეჯეულობით გაეჭედათ, კაცი ძლივს მიბრუნდ-მობრუნდებოდა; ამასთანავე დაბალი იყო და იატაკი აგურისა ჰქონდა. კედლები სითეთრით ბრჭყვიალებდენ და ფანჯრის სუფთა მინებს კრიალი გაჰქონდათ. ყველაფერი ამ პაწაწა ოთახში რიგზედ და სუფთად მოეწყოთ, როგორც შეჰფეროდა ახალ ოჯახს. ეს ქოხი, სადაც არხიპოსი და ნატო დაბინავდენ, სწორედ გაზაფხულზედ ფრინველის გაკეთებულ ბუდეს მიემსგავსებოდა.

ნამდვილად კი გაზაფხული ჯერ არსად იყო. ამათი ჩუმი ქორწილი მოხდა ყველიერების წინ, ესე იგი თებერვალში, ზამთრის გასულს. თოვლი ისევ ისე იდო, მდინარეები და გუბეები მოყინული იყო; ყოველ დღე საშინლად ჰყინავდა და ზოგჯერ ქარიშხალი და ბუქი კაცს თავს აბეზრებდა.

ქოხში კი თბილოდა და ისეთი სიჩუმე სუფევდა, თითქოს ახლად დაქორწილებულნი ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ შიიტის მოძღვრების მუსულმანებს ქერბალაის სიარული და ამ საგანზედ ეცნობა ყველა გუბერნატორებსა და ოლქების ურჩ*ოსთა.

═ ალექსანდრეს სასტატო ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება მომავალ სამოსწავლო წლისათვის ინსტიტუტთან დაარსებულს საქალაქო სასწავლებელში და თვით ინსტიტუტში აგვისტოს 25-ს დაიწყობა და 31 გათავდებაო. საქალაქო სასწავლებელში მხოლოდ 1 კლასის პირველ განყოფილებაში იქმნებიან მიღებულნი არა უმეტეს 20 ყმაწვილისაო, ხოლო ინსტიტუტში არა უმეტეს 15-საო. თხოვნისა და არზის მიღება დაიწყობა აგვისტოს 1-ლიდგან 25—რიცხვამდე.

═ «კავკაზში» სწერია: ეკატერინოსლავისა და ხერსონის გუბერნიებიდამ აყრილი 50 სახლობა ჩამოსულან თბილისში ყარსის მაზრაში დასასახლებლად. მათი აყრის მიზეზი უკანასკნელ წელთა სიმშილობა, ჭიების გაჩენა და მამულების სიმცირე ყოფილა. ახალს სადგურზე მათ აძლევენ მიწას, რამდენიც უნდათ, ერთ წელს სახელმწიფო გარდასახადს არ გარდაახდევინებენ და ტყის მასალასაც უფასოდ უთმობენ.

═ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ნავთის მწარმოებელი საზოგადოების ექვს-პროცენტიანი ობლიგაციებზე ხელის-მოწერა ძალიან კარგად წასულა: ვინც პირველად მცირე ფულით შესულა, მას 10% მიეცემაო და ვინც დიდი ფულით, მაგრამ გვიან — 3%-ს მიიღებსო. ობლიგაციები ივნისის 25 გამოიცემაო.

═ «კავკაზსა» სწერენ, რომ დუშეთის მაზრაში ძალისი, დამპალა და სხვა მახლობელი სოფლები დაუსეტყვია და ზვრები და ყანები ძლიერ გაუფუჭებია.

═ ფრანცუზს მურიეს, რომელიც ცნობილია სხვა-და-სხვა შრომით კავკასიის შესახებ, თავადის დონდუკოვ-კორსაკოვის წარდგენით ებოძა უმაღლესად მესამე ხარისხის ორდენი წმ. ანნასი. («აჴ. მიმოხ.»).

## სოფელში.

(მცირე შენიშვნა)

„რასა იქ და როგორა ხარ როგორი პირი აქვს მოსავალს თქვენში, როგორი მღვდელი, მამასახლისი, მასწავლებელი, პრისტავი და ტყის მცველი გყავთ“? აი, რასა ჰკითხავენ ხოლმე სოფლელ გლეხს ქალაქელები, უცხო პირნი და ცნობის-მოყვარე მგზავრნი. ყველა ამ კითხვებზე გლეხი უტყუარს და გულწრფელს პასუხს იძლევა; მათი პასუხით შეიძლება აიწონოს გლეხთა შეძლება, მათი პასუხია მათივე ზნეობის და მოქმედების საწყაული. დიდს სიამოვნებასა გრძნობს მგზავრი, როცა მას გლეხები ეუბნებიან: ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენს მღვდელსო, მუდამ გვიქადაგებს, გვასწავლის, გვარიგებს და გაჭირებულს ცხოვრებას ქრისტეს მოძღვრებით გვიმსუბუქებსო. ამის გამგონე მგზავრს სურვილი აღეძვრის, რომ გლეხის შემბრალე მღვდელს მიესალმოს და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადოს.

ამ გვარადვე სასიამოვნოა, როცა გლეხი გეუბნება მასწავლებელზე: ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს მასწავლებელს! ჩვენი პაწკია ბავშვები გონებაში ჩააგდო, წიგნი და წერა გვისწავლა და სხვ. ამის გამგონემ გინდა გადაჰკოცნო მასწავლებელს და უთხრა: «ბარაქალა, რომ გლეხისათვის სწავლის კარი გაგიღია და შიგ შეგიხედინებიაო». მაგრამ რავდენადაც ზემოხსენებული გარემოება დაგატკბობს, იმდენად გამწარებს სოფლის მცხოვრებთა ჩივილი და დრტვინვა: ღმერთმა საიქიოსა ჰკითხოს ჩვენს ტყისმცველს, რომელიც სულის ამოხდას გვიპირებს, აღარც სკოლისა გვცხელა, აღარც ეკლესიაზე ზრუნვა შეგვიძლიან და ვეღარც სახელმწიფო გარდასახადს შევძლებთ, თუ ეგეთი ტყის-მცველი არ მოგვშორდა». ამის გამგონეს ბოლომა მოგდის და კოცნის მაგივრად ტალახი გინდა ესროლო შენს უცნობს მოხელეს. ამ ყოფაში ჩავვარდი მე ძვემორე ხელისა ამის მომწერელი სამკვირის წინად სოფელს თ—ში, სადაც რამდენიმე გლეხმა ცრემლით შემომტირა: თუ ღმერთი გიყვარს, უთხარი ვისმეს ჩვენი გაჭირება და შევიწროებაო.—რა გაჭირება მოგდგომიათ-მეთქი.

აი, ბატონო, ჩვენი გაჭირებაო: აღარავის აღარ დაგვაყენებინა ცხვარი ტყის მცველმა სოფლად. სამი ვერსის მანძილზე თავისი მამული აქვს; ძალდატანებით საბალახედ აგვაღებინა და 100 თავ საქონელზე 27 მანეთი დაგვადო გადასახადად, სახელმწიფო საბალახეზე კი 100 თავი საქონლის შენახვა 4 მანეთად ღირსო. ამასაც არ დასჯერდა ტყის მცველი ბ—ნი ყ—ვი: საუბედუროდ, აცივდა, ცხვარი იმის მამულიდგან სახელმწიფო საბალახეზე უნდა გაგვეყვანა, მაგრამ ნება არ მოგვცა, რადგანაც სარგებლობა მოაკლდებოდა, არც შეგვატანინა ჩვენი თივა, მოგვიჭირა ხელი: მაიცა-და-მაინც ჩემი თივა იყიდეთო. ან ცხვარი შიმშილით უნდა დაგვეხოცა, ან ყ—ვის თივა უნდა გვეყიდნა. რაღას ვიქმოდით! ვიყიდეთ, მაგრამ რა ვიყიდეთ! ღმერთო, შენ გადაახდევინე! ფუთ თივაში ათი შაური გადაგვახდევინა; ათი შაური! ამ დროს ჩვენში ათ შაურად ფუთი პურ*ი იყიდება. დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი...

ს—ნი.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 24-ს

ოდესა. გუშინ მოვიდა აქ ჩაით დატვირთული ცეცხლის გემი „ცარიცა“, რომელსაც ხანკოუდგან ოდესამდინ 37 დღე და ღამე უვლია; ამ გემით მოიტანეს აგრეთვე ჩაის მცენარის ჯაგები, რომელთა მოყვანა სოხუმში უნდა სცადონ.

პეტერბურგი. იმა არზათა მისაღები კანცელიარია, რომელნიც უმაღლესს სახელობაზედ შემოდიან, 26 ივნისს დაიწყებს მოქმედებას.

მოსკოვი. ივლისის 6-ს აქაურს ოლქის სამჯავროში გაირჩევა მომწავლელთა საქმე; დამნაშავებად სულ ხუთი კაცია.

ვარშავა. იმ ცნობებიდგან, რა ცნობათა შეკრებაც აქამდინ მოასწრეს, სჩანს, რომ წყალ-დიდობისაგან მოტანილი ზარალი მეტად დიდია; განსაკუთრებით დიდი ზარალი მისცემიათ ვარშავას და ხუთს სხვა გუბერნიას, რომლებშიაც მარტო გლეხების ზარალი $2^1/_2$ მილ. მანათამდეა; მიწის პატრონთა შესახებ ჯერ-ჯერობით მარტო ისაა ცნობილი, რომ რადომის გუბერნიის მიწის-პატრონებს 20,000 მან. ზარალი მოსვლიხთ.

— ჩემო არხიპოს... ჩასჩურჩულებ და ტკბილად ნატო.

— ოჰ!.. ამოიოხრა ქმარმა.

— რა დაგმართვია? ზანა აგრე ოხვრა შეიძლება, მერე ეხლა! ჰკითხა ყვედრებით ცოლმა.

— იცი რა გითხრა...

— რა უნდა მითხრა? მიუგო ცოლმა.

— მე მინდა რომ...

— მერე რა გინდა, რა?—გააწყვეტინა სიტყვა ცოლმა და ხუმრობით და კეკლუცობით გადახედა ქმარს; ამაზედ იმას გული აუკანკალდა და საჩქაროდ წამოიძახა:

— ნატოჯან, მე მინდა, რომ ყოველთვის ასე ბედნიერნი ვიყოთ.

— ზანა ეგ შესაძლოა?

— რატომ!—სთქვა იმან და თავი ჩაღუნა.—შეიძლება.

— აბა, როგორ?

— ძალიან ადვილად; დავიძინოთ საუკუნოდ.

— მოვკვდეთ?! ათრთოლებულის ხმით წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა.

ზულ-ხელი დაიკრიფა, ერთი სხვა ნაირად გადახედა ქმარს და მერე დინჯად უპასუხა:

— ჩვენი ბედნიერება ეხლა იწყება და შენ გინდა ეხლავე ბოლო მოუღო!

— არა! მე სულაც მაგის თქმა არ მინდოდა... ჯანაბას... ზაიქნია მან ხელი და თავისთავადვე გააწყვეტინა ლაპარაკი... ღირს უთავ-ბოლოდ ლაპარაკი! რაც იქნება, იქნება.

ეს სიტყვები ნატოს გულს ლახვრად ეცა, გულის გადასაყოლებლად დაიწყო სახლის მილაგ-მოლაგება, დაანთო ცეცხლი, მიდგა ქოთანი, დახედა საკუჭნაოს, სადაც ცოტა ოდენი ხორაგეულობა ჰქონდა შენახული: კარტოფილი, ათიოდე ქარხალი, ფქვილი და თაროზედაც ერთი მუჭი მარილი ეყარა. დიდი მჭამლები რომ ყოფილიყვნენ ეს ულუფა ერთ კვირას ძლივს ეყოფოდათ; ეს იყო სულ ამათი ავლა-დიდება. ეზოში გამართული იყო ბოსელი, დერეფანი ძროხებისთვის, წყვილი ხარისთვის, ორიოდ ცხვრისთვის, სამიოდ ღორისთვის და პაწაწა ძაღლისთვის; ეზოშივე და შიგ ქოხის შესავალშიაც ტრიალებდენ ბლომად ქათმები, მამლის უფროსობით, რომლის ყივილი ყველას დილასა და საღამოს დარსა და ავდარსატყობინებდა. ქალოსთანაც იდგა დიდი ძნა, მაგრამ ეს ყველა ეკუთვნოდა სახლის პატრონს რომლისგანაც არხიპოსმა იქირავა ერთი პატარა ოთახი. ამ ცოლ-ქმარს კი არა ებადათ-რა, ორი წყვილი ხელის გარდა,—ეს იყო ამათი სიმდიდრე და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ შრომა ამათ არა თუ გააძღობდა, არამედ ორიოდ გროშის გადადებასაც მოახერხებდენ.

ამ ახალ ჯვარ-დაწერილებს ასე ჰქონდათ წარმოდგენილი წუთის სოფელი. დრო იყო, უნდა შესდგომოდენ მუშაობას. ერთმანერთს გადაეხვივნენ და არხიპოსმა თითქოს გული წინადვე რასმე უსიამოვნოს ეუბნებაო, აღიარა თავისი შიში. დაიწყეს მუშაობა. იმდენი უნდა ემუშავნათ, რომ დაეძლიათ კაცის ბოროტი მტერი — სიმშილი.

თავდაპირველად ურიგოდ არ მიჰყავდათ საქმე. არხიპოსი მუშასა სჭრიდა; დილა-ადრიან დგებოდა და სანამ კარგა არ დაბინდდებოდა, ცულსა და ხერხს ხელიდამ არ აგდებდა. ყოველ დღე ამ მუშაობისთვის აძლევდენ ერთ ჩანახამდის ქერს. ნატომაც მშვენივრად იცოდა დართვა და გაზაფხულამდის ბევრი სხვა საქმეც იშოვა. ისე რომ ახალგაზრდებს გაჭირება ჯერ არ დასტყობოდათ, სხვა რომ არა იყოს რა, სიყვარული და იმედები ატკბობდენ ამათ სიცოცხლეს. იმედოვნებდენ კიდევ, რომ საქმე თან-და-თან უფრო კარგა წავიდოდა, რადგანაც მუშაობას თავს არ არიდებდენ, უყვარდათ კიდეც და თანაც ღრმად სწამდათ, რომ სიმართლე არსებობს ქვეყანაზედ. ამათ არ იცოდენ ჯერ კიდევ, რა ურთიერთობა ჰსუფევს მუშასა და მუშის დამქირავებელ შორის, რომელმაც არა ერთი და ორი ამათსავით თავ-გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშინგტონი. შეერთებული შტა-
ების ელჩი წინაშე ვენისა
იჭტი პეტერბურგში გადაიყვა-
ს.

პარიჟი. მმართებლობამ გადას-
ყვიტა ეპატიოს დანაშაული
ონსო-ლემინში მომხდარ უწესობი-
ათვის ყველა დასჯილ ანარხის-
ებსა, გარდა კრაპოტკინისა და
ლუიზა მიშელისა. პარიჟი კარგს
ანიტარულს მდგომარეობაშია.
ულონში გუშინ ოთხი შემთხვევა
ყო ხოლერით სიკვდილისა, ხო-
ლო მარსელში ცხრა.

ლონდონი. ინდოეთიდგან მო-
ული ცნობებიდგან სჩანს, რომ
ამდვილად დანიშნულა ინგლის-
რუსეთის კომისია ავგანის
ამზღვრის გასაყვანად; უნდა მო-
რიგდენ მხოლოდ ზოგიერთა პი-
ობათა შესახებ. ამბობენ რომ
ვგანის ემირი თანაგრძნობით უყუ-
რებს ამ კომისიას.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“
ავაუწყებს, რომ დანიშნულა კო-
ისია სხვა-და-სხვა უწყების პირთა-
ან იმ კითხვათა განსახილველად,
რომელნიც ნავთის მრეწველობის
აუმჯობესებას შეეხებიან.

ივნისის 25-ს

პეტერბურგი. სახალხო საკითხავ-
თა კომისია, დაწესებული სახალხო
განათლების სამინისტროსთან,
შეუდგა კაპეიკიანი ფურცლების
აჭედვას პირველი ფურცელი იქ-
ნება მინინისა და პაჟარსკის საქმე-
თა მოთხრობა.

„ს. პეტერბურგის უწყებანი“ ამ-
ბობენ, რომ ცხრა დასავლეთის
გუბერნიებისათვის დაწესებული კა-
ნონები ებრაელთა მონაწილეობის
შესახებ ნაფიცთა მოსამართლეთა
შორის ვრცელდებიან აგრეთვე
ბესარაბიის, ეკატერინოსლავის,
პოლტავის ტავრიდის, ხერსონის
და ჩერნიგოვის გუბერნიებზე.

ოდესა. გუშინ აქ მოვიდა ორთქ-
ლის გემი «როსია», რომელმაც
მოიტანა 2826 ტონა ჩაი მოსკო-
ვის ფაბრიკანტებისა. ორთქლის
გემმა და საქონელმა თოთხმეტი
დღის კარანტინი გამოიარეს.

## განცხადებანი

სამკურნალოში, რომელიც თბი-
ლისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად
4 აპრილის 1866 წლისა, ავად-მყოფნი
მიიღებიან დილის 9 საათიდგამ 1 საა-
თამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-
ლოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები:
არუთინოვი—9 საათიდამ 10 საათამ-
დინ შიგნეულ ავადმყოფობათა წამლო-
ბისათვის, ალიხანოვი და ლისიცე-
ვი—10 სათიდგან 11-დე შიგნეულ
ავად-მყოფობის წამლობისთვის, ექიმი-
ქალი პოტაპოვისა—11 საათიდამ
12-დე დედა-კაცების და ბავშვების ავად-
მყოფობის წამლობისთვის; შტემბო-
რსკი—12 საათიდამ 1-მდე ხირურგიუ-
ლი, სიფილისის და სხეულზე გამოყ-
რილი მუწუკების წამლობისთვის.

ამას გარდა: ბორალევიჩი ორშა-
ბათობით—10 საათიდამ 11-მდე შიგ-
ნეულ ავად-მყოფობის წამლობისთვის;
მინევიჩი სამშაბათობით და პარასკე-
ვობით 9 საათიდამ 10-მდე ხირურგიუ-
ლი ავად-მყოფობის წამლობისთვის;
რეიხი სამშაბათობით და შაბათობით
10 საათიდამ 11-მდე თვალის ავად-მყო-
ფობის წამლობისთვის; ბაბაევი სამშა-
ბათობით და შაბათობით 11 ½ საათი-
დამ 12 ½-მდე შიგნეულ და ნერვების
ავად-მყოფობის წამლობისთვის; იანკო-
ვსკი სამშაბათობით და ხუთშაბათობით
11 საათიდამ 12 საათამდე შიგნეული
ავად-მყოფობის და სიფილისის წამლო-
ბისთვის; კრასნოგლიადოვი—ოთხ-
შაბათობით და პარასკევობით 10 საა-
თიდამ 11-მდე შიგნეული ავად-მყო-
ფობის წამლობისთვის.

კბილის ავად-მყოფობის ექიმი პო-
ლქოზონი ყოველს დროს მიიღებს
თავის სახლში ღარიბ ავად-მყოფებს,
რომელთაც სამკურნალოდან ბარათი
ექნებათ.

ბოლაზეი! ბოლაზეი!! ბოლაზეი!!!

ფაბრიკის ფასად იყიდება ინგლი-
სის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლა-
ში. იქვე ისყიდება 30%-ით უფრო
იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: დასაკე-
ცი სკამები, სტოლები და კრაოტე-
ბი; კლიონკა, ჩულქები და წინდები;
ბისკვიტები კაკაო და შოკოლადი;
პორტსიგარები, ბუმაჟნიკები, ჩოთქე-
ბი სხვა-და-სხვა გვარი; თოფები რე-
ვოლვერები და უნაგირები. ნიჩბები,
ხაფანგები და ბარები ანუ წერაქვები;
პირველ მოკრეფილი ჩაი და სხვა ამ-
გვარი. (10—5)

ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და
ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი
ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-
დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივ-
თები იყიდება 25%-ით უფრო იაფად,
ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტა-
ლის ნიკთები, ჩაიდნები, საგარაჟე, სა-
შაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგ-
ლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პაპის-
საბანი, სტაქნები, საფულენიკი, საწყაო,
სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშერი
თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშ-
ტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩი-
ცის საფსკეები, უნაგირები კაცისა და
ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისა-
მოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატ-
ლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები,
ხერხები, ქლიბები, გლიტეები, ინგლისის
თოფები და რევოლვერები, პიკები, ზა-
რიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩ-
ბები, ვატერპრუფი, საზნები, ჩულქები,
წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის
რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურა-
ბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები,
ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ.
ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-
157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს
ყურადღებას მიაქციეთ. (100—27)

## ინგლისის მაღა-ზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2— ,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თო-
ფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭუ-
რჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები,
კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი,
შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბე-
ბი, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა,
წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახო-
ცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ
ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მა-
ღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ
1,000 მანეთამდინ საქონელს გამოი-
წერს, გასაგზავნს არაფერს არ იხ-
დის. (100—42)

---

დებული და ძლიერი ბუნების კაცი
დაჰლუპა. ესენი დაუსვენებლივ მუ-
შაობდენ და რწმუნებას არა ჰკარ-
გავდენ.

ჯერ იმედები არ უმტყუნდებოდათ.
საქმე მარჯვედ მიდიოდა. როდესაც
გამოელევოდათ ფქვილი ან კარტო-
ფილი და სადილის სამყოფიც აღარ
ექნებოდათ, არხიპოსი მაშინვე მოა-
შველებდა საზრდოს. ნატოც ბე-
ჯითად ართავდა და ამგვარად ნაშოვ-
ნი ფულით ხშირად ყიდულობდა
მარილს და ან იმას, რაც აუცილებ-
ლად საჭირო იქნებოდა. რასაკვირვე-
ლია იმდენ ფულს ვერ ჩაიგდებდენ,
რომ ან მძივი და ლილები, ან ახალი
თავზედ-მოსახვევი და მორთულობა
რამ ექიდნათ. იმიტომაც კმაყო-
ფილნი იყვნენ, რომ ერთი მეორეს-
თვის მუშაობდა. დაიმედოვნებულებს
წამ და უწუმ მომავალი ცხოვრების
სურათი მშვენივრად თვალწინ გადე-
შლებოდათ: უთვალავი ქათმები თა-
ვიანთი მამლით, ბატკანი, მერე ძრო-
ხა და ხბო, ბოლოს თვალწინ უდგათ
საკუთარი ქოხი საკუთარი ბოსტნით,
მოხნული და დათესილი მიწები, მე-
რე იგივე თავიანთ ხელითვე მომკი-
ლი.

რას არ მოელოდენ! ცოტ-ცოტა-
თი სურვილი უსრულდებოდათ. დად-
გა გაზაფხული: ამწვანდა, აყვავდა
დედამიწა; მზემ მოათბო მიდამო,
მინდვრებში და ტყეებში ყველამ გაი-
ჩუჩუნა, მოისმა ჭრიამული, სიმღერე-
ბი. ჩვენმა ახალგაზდებმაც მეტი მხნე-
ობა გამოიჩინეს. ამათ ბევრი საქმეე-
ბი გამოუჩნდათ, მეტადრე არხიპოსს.
არხიპოსი მარგილებს სხამდა; ლო-
ბეებს სწნავდა, მინდორშიაც მუშაობ-
და ისე, რომ საქმე ავდარშიაც არ
გამოელევოდა ხოლმე. ამათ შრომის
ფასად მარტო ხორავს კი არ აძლევ-
დენ, ზოგჯერ ფულსაც მისცემდენ
ხოლმე. ყოველ დღე არხიპოსს სახლ-
ში რამდენიმე გროში შემოჰქონდა,
ქისიდამ ამაყად გადმოჰყრიდა და ნა-
ტოს მისცემდა შესანახავად; ისიც
მაშინვე მჩვარში გაახვევდა და ხატის
უკან მიმალავდა. იქ ინახავდენ, თა-
ვიანთ სარჩოს ყოველ კვირას ჩამოი-
ლებდენ, დასთვლიდენ და რჩევაში
იყვნენ, რაზედ მოიხმარონ გადადე-
ბული ფული. ამათ კარგად იცო-
დენ ფულის ყადრი და დიდის ზოგვი-
თა და ყაირით ხარჯავდენ.

ერთხელ, თითქმის ერთ და იმავე
დროს, ცოლ-ქმარს ერთმა აზრმა
გაუელვა თავში, როდესაც ნახეს თა-
ვიანთი წვითა და დაგვით მონაგები
ფული. ორივემ მძიმედ ამოიოხრეს;
მერე არხიპოსმა სთქვა:

— მოდი და...

— ურიგო არ იქნება?—მიუგო ცო-
ლმა.

— ქათამი ვიყიდოთ. რას იტყვი?
ნატოს ისე გაეხარდა, რომ სიხარუ-
ლით ველარა მოახერხა-რა. მერე კი
ჩაფიქრდა და სთქვა:

— ბანა არ შეიძლება, ერთი კვირა
კიდევ მოვიცადოთ.

— რაღა მოვიცადოთ, ერთ კვირა-
ში კიდევ მოვაგროვებთ ფულს. ქათა-
მიც ხომ ფულია, მხოლოდ ორ ფეხ-
ზედ დგას და ფრთები ასხია. ფული
კი კვერცხებს ვერ დასდებს.

ნატო სიხარულმა აიტაცა, ქმრის
მოსაზრება მართალი იყო, მაგრამ
ცდილობდა სიხარული არ გაემხილე-
ბინა, თავი დარბაისლურად დაეჭირა.
აქამდის, როდესაც მეზობლები შეი-
ყრებოდენ და დაიწყებდენ საოჯა-
ხო საქმეებზედ ლაპარაკს, კრუხ-წიწი-
ლებზედ და სხვ., ამას ენა ჩაუვარდე-
ბოდა, ეხლა კი საქმე სულ სხვა ნაი-
რად წავიდოდა.

«მეც ხომ ოჯახის პატრონი გავხ-
დებიო», —გაიფიქრა ნატომ სიხარუ-
ლით, ერთ ადგილას ველარ მოისვენა,
საწყლეებს ხელი დაავლო და წყა-
როსკენ გასწია. გაჩქარებული მიე-
შურებოდა თითქოს დედამიწას ფეხს
არ აკარებსო და თან სულ იმას ამ-
ბობდა:

— ქათამი მეყოლება... ქათამი..
ქათამი!

(შემდეგი იქნება)

## თბილისის საქალაქო გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ივნისის 27, შუადღის 12 საათზედ მის თანადასწრებით დანიშნულია ვაჭრობა ორის საქალაქო მიწის იჯარით გასაცემად ავლაბარში; ერთია 1890 დესიატ. 2040 კვადრატ. საჟ., ხოლო მეორე 257 დესეტ. გამოდგებიან საქონლის საძოვრად, სახნავ-სათესად და სხვა სამეურნეო საქმისათვის. ვადა 3 წლიწადია; ვისაც ჰსურს ვაჭრობა, მას შეუძლიან პირობანი შეიტყოს გამგეობის კანცელიარიაში (სამწერლოში) დილის 8 საათიდგან შუადღის 1 საათამდე. (3—2)

---


### ვაჭრობა სადებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სადებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტივეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტივესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—17)


---

## თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეორე და უკანასკნელ ვაჭრობისთვის, რომელიც იქნება თანხმად განცხადებისა (იხილე «კავკაზი» № 114) 6 ივნისს ამ 1884 წ. დაინიშნენ ქვემოდ აღნიშნულნი ქონებანი. ვაჭრობა დაიწყობა დილის 12 საათიდგან.

ჩიგიანოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე, საბოსტნე ალაგი, ვენახი და ღვინის მარანი 5600 ოთხ. საჟ. მიწით, პირველ განყოფილებაში, მეცხრე ნაწილში ქ. თბილისს № 677; თავნი ვალი 3213 მან. 55 კაპ. დარჩენილი 213 მან. 33 კაპ. და სრულიად 3426 მან. 88 კაპ.

ქანანოვისა, მაგდალინა პეტრეს ასული, სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით და სუყველა მოწყობილობით $190\frac{1}{2}$ საჟ. 1 არშ. და 188 ოთხ-კუთხ. გოჯი მიწით, პირველ განყოფილებაში, პირველ ნაწილში ქ. თბილისში კომენდანტის ღ. დავითის ქუჩებზედ; თავნი ვალი 46372 მ. 55 კ., დარჩენილი 4633 მან. 49 კაპ. და სრულიად 51006 მან. 4 კაპ.

ტირანოვი, ვასილ ვასილის-ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 26 ოთხ. კუთხი საჟ. მიწით, პირველ განყოფილებაში, მეხუთე ნაწილში ქ. თბილისში, თავნი ვალი 2885 მან. 39 კაპ., დარჩენილი 238 მან. 11 კ. და სულ 3123 მ. 50 კ.

არცრუნნი, გრიგოლ და ანდრია იერემიას-ძენი, სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ქარვასლა ანუ სასტუმრო ეზო და ორ-სართულიანი ქვითკირის გალერეა 1135 ოთხ. კუთხი საჟ. მიწით. პირველ განყოფილებაში, მეორხე ნაწილში სასახლის ქუჩაზე ქ. თბილისში, თავნი ვალი 380594 მ. 77 კ., დარჩენილი 34486 მ. 70 კ. და სულ 415081 მ. 47 კაპ.

არცრუნნი, გრიგოლ და ანდრია იერემიას-ძენი, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანი სართულით, შენობები და ვანახი 1590 ოთხ. კუთ. მიწით, პირველ განყოფ. მეოთხე ნაწილში ქ. თბილისში; თავნი ვალი 56551 მ. 90 კ., დარჩენილი 3769 მ. და სულ 60314 მან. 90 კაპეიკი.

მნაცაკანოვი, ნერსეს ბაღდასარ-ძე, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი და ოთხი დუქანი სარდაფებით 110 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, მეორე განყოფილებაში, მეშვიდე ნაწილში, ქ. თბილისში, ავლაბარში; თავნი ვალი 5708 მ. 92 კ., დარჩენილი 298 მ. 90 კ. და სულ 6007 მ. 82 კაპ.

აივაზოვი, გიორგი მიხეილის-ძე, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 32 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, ქ. გორში; თავნი ვალი 1696 მ. 56 კ., დარჩენილი 45 მან. 16 კ. და სულ 1741 მ. 72 კ.

ბეჟანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასული, ოთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მოწყობილობით 44 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, პირველ განყოფილებაში, მესამე ნაწილში, ქ. თბილისში; თავნი ვალი 6597 მ. 71 კაპ. დარჩენილი 462 მან. 35 კაპ. და სულ 7060 მ. 6 კ.

კომოძეები, გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სუყველა მოწყობილობით, მენონით და მიახლოვებით 217 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, პირველ განყ. მესამე ნაწილში ქ. თბილისში; თავნი ვალი 19410 მ. 33 კ. დარჩენილი 2444 მ. 15 კ. და სულ 21854 მ. 48 კაპ.

ბერძენოვისა, გიორგის ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორი ორ-სართულიანი ფლიგელი 110 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით პირ. განყ. პირ. ნაწ. ქ. თბილისში; მოსკოვის ქუჩის ზევით თავნი ვალი 6850 მ. 70 კაპ. დარჩენილი 553 მ. 17 კ. და სულ 7403 მ. 87 კაპ.

გოზალოვი, გრიგოლ იაგორას-ძე, სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანი სართულით 84 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, პირველ განყოფილებაში, მეექვსე ნაწილში, ქ. თბილისში; თავნი ვალი 19203 მ. 63 კ. დარჩენილი 1689 მ. 19 კ. და სულ 20892 მ. 82 კ.

ბარათოვი, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე, ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სუყველა მოწყობილობით და დუქნები 1382 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით პირველ განყოფილებაში მეექვსე ვარანცოვის ნაწილში ქ. თბილისში, ძველი ტამოჟნის ახლო; თავნი ვალი 8641 მან. 64 კაპ. დარჩენილი 777 მან. 74 კაპ. და სულ 9419 მ. 38 კ.

ონიკოვები, კონსტანტინე და გიორგი სოლომონის-ძენი, ნაკაშიძისა ბარბარე სოლომონის ასული და ჩოლოყაევისა ეკატერინე სოლომონის ასული. სახნავი, საძოვარი, სათიბი, საბოსტნე, სავენახე ალაგები და ტყე 728 დეს. 2323 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, თბილისის გუბერნიაში და უეზდში სოფ. კიკეთი და დიდება; თავნი ვალი 14884 მ. 10 კაპ. დარჩენილი 654 მ. და სულ 15538 მ. 10 კაპ.

მელიქოვი, მიხეილ ივანეს-ძე, სახნავი საძოვარი ადგილები და ტყე 1041 დეს. 500 ოთხ. კუთ. საჟ. მიწით, თბილისის გუბერნიაში და უეზდში აგარებში: არაბატალა, პაპიან-ტაკის და სხვ. თავნი ვალი 7770 მან. 71 კ. დარჩენილი 471 მ. 55 და სულ 8242 მ. 26 კ.

ციციანოვი, კირილე ლეიშერას-ძე, სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე 847 დეს. 600 ოთხ-კუთ. საჟ. თბილისის გუბერნიაში და უეზდში სოფელ ახლალალალუში იგივე მამათი; თავნი ვალი 15432 მან. 32 კაპ. დარჩენილი 1140 მან. 80 კაპ. და სულ 16573 მ. 12 კ.

ციციანოვი, გიორგი ივანეს-ძე, სახნავი საძოვარი, სათიბი ალაგები და ტყე $967\frac{1}{2}$ დეს. მიწით, თბილისის გუბერნიაში, ბორჩალოს უეზდში სოფ. ახლალალალუში; თავნი ვალი 15,693 მ. 50 კ. დარჩენილი 1021 მ. 96 კ. და სულ 16715 მ. 46 კ.

თარხან-მოურავოვი, ნიკოლოზ გიორგის-ძე, სახნავი საძოვარი სათიბი ალაგები და ტყე 1047 დეს. 1560 ოთხ-კ. საჟ. მიწით, თბილისის გუბერნიაში და უეზდში სათარხნო, აგარში; თავნი ვალი 12827 მ. 46 კ. დარჩენილი 726 მ. 40 კაპ. და სულ 13553 მ. 86 კ.

იარალოვი, სერგეი ივანეს-ძე, სახნავი, საძოვარი და სათიბი ალაგები და ტყე 426 დესიატ. 1873 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. თბილისის გუბერნიაში, გორის უეზდში, სოფელ სკრაში, თავნი ვალი 8755 მ. 18 კ. დარჩენილი 213 მ. 48 კ. სულ 8968 მ. 66 კაპ.

ბაქრაძე, იოსებ დავითის-ძე, საბოსტნე ალაგები, შენობები 7 დესიატინა 1843 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. თბილისის გუბერნიაში და უეზდში, სართიჭალაში; თავნი ვალი 4918 მან. 15 კაპ. დარჩენილი 224 მან. და სულ 5,142 მ. 15 კაპ.

შიტალი, ალექსანდრე თევდორეს-ძე, სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე 422 დესიატ. 1160 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. თბილისის გუბერნიაში, გორის უეზდში, სოფ. ღვარებში. თავნი ვალი 3885 მან. 35 კაპ. დარჩენილი 180 მ. 96 კაპ. და სულ 4066 მან. 31 კაპ.

ვარლამოვი, ალექსანდრე იაკობის-ძე, ვენახი 7 დესიატ. 600 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. თბილისის გუბერნიაში და უეზდში საგაბაშვილო-თხინვალში. თავნი ვალი და დარჩენილი 2240 მან. 40 კაპ.

ვაჭრობა დაიწყობა ზემო-აღნიშნული ვალიდამ, რომელზედაც ზედ მივა დარჩენილი ხარჯი და საერო გარდასახადი. მოკლე ვადიანი სესხის თავნი ვალები შეიძლება გადაწყვეტილ იქნან ამ ბანკის გირავნობის ფურცლებით მანეთზე მანეთით მათი ღირეულობის კვალობაზედ, აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი გადატანილ იქმნას მყიდველებზედ; ხოლო ვადიანი გარდასახადი და აგრეთვე სხვა დარჩენილი ფული უთუოდ ნაღდი ფულით უნდა გადასწყდეს.

თანახმად წესდების მე-16 §-ისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნის შემდეგ მსესხებელს ნება აქვს ვაჭრობის დღემდინ შემოიტანოს დარჩენილი ვალი გარდაცილებული ვადის სარგებლით და ხარჯით.

(1—1)

---

*Доз. ценз. Тифлисъ, 25 Іюня 1884 г.* სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.